№7

ივლისი, 2022წ.

ბოლნისი

გამოდის 1935 წლიდან

ფასი: 1 ლარი

როდის განახლდება სასწავლო პროცესი პირველ საჯარო სკოლაში

გვ:2

ბოლნისის მუნიციპალიტეტსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის გოიგოლის რაიონს შორის მეგობრობის და თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

გვ:2

ბოლნისის ახალ კარტოფილს ადგილწარმოებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის დასახელება მიენიჭება

გვ:3

როდის განახლდება სასწავლო პროცესი პირველ საჯარო სკოლაში

ქალაქ ბოლნისის, №1 საჯარო სკოლაში, სასწავლო პროცესი, სარემონტო სამუშაოების გამო, შეჩერებული იყო. ამ ხნის მანძილზე მოსწავლეები ქალაქის 2 სკოლაში გადანაწილდნენ. 2020 წლის ნოემბრის თვიდან, მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით, სკოლის ისტორიულ შენობაში სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები ხორციელდება. პირველ ეტაპზე მოხდა მთლიანი შენობის გამაგრებითი სამუშაოები. გადაიხურა და ჩაისვა ახალი კარ-ფანჯარა. კეთილმოეწყო ეზოს გარე პერიმეტრი, შემოიღობა, დაიგო ასფალტის საფარი, გაკეთდა სპორტული მოედანი და ტრენაჟორები.

რაც შეეხება შენობის შიდა პერიმეტრს, აქაც გრანდიოზული სამუშაოები შესრულდა. მოიხსნა ტიხრები და გაფართოვდა არასტანდარტული პატარა საკლასო ოთახები, 3 საკლასო ოთახის ბაზაზე გაკეთდა დიდი, თანამედროვე სტანდარტების ბიბლიოთეკა, შესაბამისად აღიჭურვა ქიმიისა და ფიზიკის კაბინეტები, სააქტო და სპორტული დარბაზები. სველ წერტილებთან და საპირფარეშოებთან დაკავშირებული პრობლემა, მთლიანად მოგვარდა. დამონტაჟდა 25 ტონიანი წყლის რეზერვუარი, რაც წყლის უწყვეტ მიწოდებას უზრუნველყოფს. მთლიანად შეიცვალა და დამონტაჟდა გათბობის ახალი სისტემა.

შშმ და სსმ მქონე მოსწავლეებისთვის სკოლა სრულიად ადაპტირდა, გაკეთდა როგორც გარე, ასევე შიდა ელექტრონული პანდუსი, მეორე სართულზე კომფორტული გადაადგილებისთვის დამონტაჟდა ლიფტი.

რაც შეეხება სკოლის ინტერიერს, ფერების არჩევანი არ იყო ერთპიროვნული, სკოლის ვებ-გვერდზე დაიდო გამოკითხვა და ხმათა უმრავლესობით შეირჩა თბილი, ნათელი ფერები. მთლიანი სკოლის შიდა სივრცე ღია ფერებშია გადაწყვეტილი. ავეჯიც და ტექნიკაც დამონტაჟდება ახალი. ერთადერთი, რაც ხელშეუხებელი დარჩა, ისტორიული ფასადია, რომელიც 1942 წელს აშენებულ, პირვანდელ სახეს ინარჩუნებს.

რამდენიმე წლიანი პაუზის შემდეგ, ახალ 2022-23 სასწავლო წელს, სკოლა მშობლიურ გარემოში დარეკავს ზარს, 800-მდე მოსწავლე საკუთარ საკლასო სივრცეებს დაუბრუნდება და მეცადინეობები 2 ცვლაში მოხდება. ახლად რეაბილიტირებული სკოლა სრულად აკმაყოფილებს ევროსტანდარტებს, რაც პირდაპირ აისახება სწავლის ხარისხზე.

ირმა წაქაძე, №1 საჯარო სკოლის დირექტორი:

-2020 წლის ნოემბრის დასაწყისში ცნობილი გახდა, რომ ტენდერში გაიმარჯვა შპს „გრუსიამ“ და დაიწყეს სარემონტო სამუშაოები. ძალიან მცირე დროში გავიტანეთ და დავასაწყობეთ ინვენტარი. გადავედით ქალაქის №2 და №3 საჯარო სკოლებში. ეს გაგრძელდა 2 წელი და ძალიან რთული იყო ჩვენთვის. მიმდინარე სამუშაოები უკვე დასასრულს უახლოვდება, დარჩენილია მხოლოდ ეზოს მოპირკეთება. იჭრება გამხმარი ძველი ხეები და ბუჩქები, ირგვება ახალი. რაც შეეხება სარემონტო სამუშაოებს, ჩატარდა ევროპული სტანდარტების შესაბამისად. ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია ინვენტარით, ასევე სახანძრო უსაფრთხოების სისტემით. ყველა პირობა შეიქმნა, რომ მოსწავლეებმა თავი იგრძნონ დაცულად და კომფორტულად.

მოხდა სკოლის სრული რეაბილიტაცია. შენარჩუნებულია მხოლოდ წინა ფასადი. გამყარდა საძირკველი, ასევე გაფართოვდა საკლასო ოთახები, გაკეთდა საპირფარეშოები, სველი წერტილები, დიდი ბიბლიოთეკა, სასადილო, გათბობის ახალი სისტემა, დამონტაჟდა 25 ტონიანი ავზი, რაც წყლის პრობლემას სრულად ხსნის.

2022-23 სასწავლო წელს, ქ.ბოლნისის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეები სწავლას მშობლიურ სკოლაში გააგრძელებენ.

ბოლნისის მუნიციპალიტეტსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის გოიგოლის რაიონს შორის მეგობრობის და თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

13 ივლისს, აზერბაიჯანის რესპუბლიკის დედაქალაქ ბაქოში, არსებული ურთიერთობების შემდგომი გაღრმავებისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტისა და გოიგოლის რაიონის მოსახლეობის უფრო მეტად დასაახლოებლად და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით, მეგობრობისა და თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. დოკუმენტს ხელი, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა და გოიგოლის რაიონის აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა თურანი ალიევმა მოაწერეს.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ითანამშრომლებენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის/რაიონის, კულტურის, ტურიზმის, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, ურბანული დაგეგმარების, გარემოს დაცვის, გამწვანების, ტრანსპორტის, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ენერგოეფექტურობის, ნარჩენების მართვის, ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის სფეროებში ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარების საშუალებით.

აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ვიზიტით იმყოფებოდა ქვემო ქართლის წარმომადგენლობითი დელეგაცია, სახელმწიფო რწმუნებულის გიორგი დოხტურიშვილის ხელმძღვანელობით.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ ქვემო ქართლის რეგიონის მუნიციპალიტეტების მერები და რუსთავის საკრებულოს დეპუტატები.

ვიზიტის ფარგლებში, დელეგაციის წევრებმა, შეხვედრა გამართეს აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ალი ასადოვთან, ეკონომიკის მინისტრ მიქაილ ჯაბაროვსა და დიასპორასთან მუშაობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვაგიფ სეიდბეკოვთან.

საქართველოს დელეგაციის წევრებმა, შეხვედრები გამართეს საგარეო საქმეთა მინისტრ ჯეიჰუნ ბაირამოვთან, სოფლის მეურნეობის მინისტრ ინამ ქერიმოვსა და მილი მეჯლისში საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელთან არზუ ნაგიევთან.

საქართველოს დელეგაციამ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ვიზიტი 15 ივლისს დაასრულა.

,,მოხარული ვარ, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკის გოიგოლის რაიონთან მეგობრობისა და თანამშრომლობის მემორანდუმი გავაფორმეთ, რომელიც ჩვენი მოქალაქეების ერთმანეთთან უფრო მეტად დაახლოებას და საზოგადოების სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობას შეუწყობს ხელს. მოგეხსენებათ, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უმრავლესობას, ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოქალაქეები წარმოადგენენ, ჩვენ ერთ სივრცეში, მრავალი წელია, ჰარმონიულად თანაცხოვრობთ, ერთად ვიღწვით უკეთესი საქართველოს მომავლისთვის და ვფიქრობ, ახალი ურთიერთობები ჩვენს მეგობრობას კიდევ უფრო განამტკიცებს“,- განაცხადა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა.

ბოლნისის ახალ კარტოფილს ადგილწარმოებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის დასახელება მიენიჭება

ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფლებში, საადრეო კარტოფილის აღება მალე დასრულდება, ფერმერებს სეზონურად 80 000 ტონამდე კარტოფილი მოჰყავთ, როგორც სოფელ რაქისუბანის თემში მცხოვრები ზაზა რეხვიაშვილი გვიყვება, მოსავალს არ უჩივის, თუმცა უჭირს მოწეული პროდუქციის რეალიზება. ის, წლებია, კარტოფილის წარმოებითაა დაკავებული, ბოსტნეული კულტურა, სოფელ სამტრედოში, წელს თექვსმეტ ჰექტარ მიწის ფართობზე ეთესა. ფერმერის აღნიშვნით, კარტოფილის მოყვანა საკმაოდ ძვირი ჯდება, მან სახელმწიფოსგან შეღავათიანი აგრო კრედიტით ისარგებლა.

ბოლნისში წარმოებულ ახალ კარტოფილზე ცნობადობა და გასაღების არეალი საგრძნობლად გაიზრდება, რადგან პროდუქციას ადგილწარმოებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის დასახელება მიენიჭება. კარტოფილის მოსავლის აღებას ბოლნისის აგროცენტრის ხელმძღვანელი და ,,გაერთიანება ღვინო ბოლნისის“ დამფუძნებელი დაესწრო, ფერმერებს ინფორმაცია მიაწოდეს იმ დოკუმენტის შესახებ, რომელიც უკვე მოამზადეს და დასამტკიცებლად საქპატენტს, რამდენიმე დღეში გადაეგზავნება. გეოგრაფიული აღნიშვნის მატარებელი პროდუქცია ხაზს უსვამს განსაკუთრებულ ხარისხს, თვისებებსა და რეპუტაციას, რაც ზრდის პროდუქციის ფასსა და რეალიზაციას, შიდა და საერთაშორისო ბაზრებზე.

,,კარტოფილის მოსავალს არ ვუჩივი, ფერმერებს რაც გვაწუხებს, ეს რეალიზებაა, ძირითადად, გასაღების არეალი ადგილობრივი ბაზარია, საერთაშორისო ბაზრებს თუ აითვისებს ჩვენი პროდუქცია, ეს ძალიან კარგი იქნება. კარტოფილის მოყვანა საკმაო ხარჯებთან არის დაკავშირებული, სახელმწიფომ შეღავათიანი კრედიტები მოგვცა, ერთადერთი პრობლემა ბაზრების გაფართოებაა,“-განაცხადა მეწარმე ზაზა რეხვიაშვილმა.

,,ღვინო ბოლნისის“ შემდეგ ახალი კარტოფილი, საერთაშორისო ბაზრებს მალე აითვისებს, მანამდე კი, ფერმერებს მოსავლის მოყვანა, საქპატენტის მიერ გაცემულ დოკუმენტში მითითებული რეკომენდაციების

გათვალისწინებით მოუწევთ, რის შემდეგაც ხარისხიანი პროდუქციის გაყიდვას ფერმერები, გაცილებით მაღალ ფასში შეძლებენ.

,,ძალიან მნიშვნელოვან დოკუმენტს ვამზადებთ, რომელიც მეწარმეებს დაეხმარება თავიანთი პროდუქციის რეალიზებაში. დოკუმენტის თანახმად ბოლნისის ახალი კარტოფილი დაფასოვდება და შეიფუთება. ხარისხიანი პროდუქცია ევროპის ბაზრების დაინტერესებას და ფასის მატებას გამოიწვევს. დოკუმენტში მითითებულია წესები, თუ როგორ უნდა მოიყვანოს მეწარმემ ხარისხიანი კარტოფილი“-აღნიშნა ჩვენთან საუბრისას ბოლნისის აგროცენტრის დირექტორმა, ნიკოლოზ მინდიაშვილმა.

დაგეგმე შენი ბიუჯეტი

ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში „სამოქალაქო ბიუჯეტის“ პროექტის ფარგლებში მოქალაქეთა ინიციატივებისთვის 1 500 000 ლარი იქნება გათვალისწინებული. სულ 5 (ხუთი) ინიციატივა დაფინანსდება, თითოეული პროექტის ღირებულება 300 000 ლარს არ უნდა აჭარბებდეს. 5 ინიციატივას კი თავად მოქალაქეები კენჭისყრის გზით შეარჩევენ. 2 პროექტი დაფინანსდება ქალაქ ბოლნისში (ქალაქში განსახორციელებელი იდეებიდან ყველაზე მეტ ხმას რომელი 2 (ორი) პროექტიც მიიღებს), ხოლო 3 პროექტი სასოფლო დასახლებებში (სოფლებში განსახორციელებელი იდეებიდან ყველაზე მეტ ხმას რომელი 3 (სამი) პროექტიც მიიღებს).

პირველი ეტაპი: ბოლნისში რეგისტრირებულ ნებისმიერ მოქალაქეს (18 წლის ასაკიდან) პროექტის სახით შეუძლია წარმოადგინოს საკუთარი იდეა, რომელიც მის სოფელში, თემსა თუ ქალაქში საზოგადოებრივი მნიშვნელობის ობიექტის მოწყობას ითვალისწინებს; პროექტი „დაგეგმე შენი ბიუჯეტი“ არ ითვალისწინებს ბიზნეს იდეების დაფინანსებას, ამიტომ ის იდეები, რომელიც კერძო ბიზნესს ეხება, არ მიიღება; დაინტერესებულმა პირებმა საპროექტო წინადადება უნდა წარმოადგინონ 10 აგვისტომდე; საპროექტო წინადადებების წარდგენა ხდება ინტერნეტის მეშვეობით, მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე, მერიის ფეისბუქ გვერდზე და ასევე Facebook გვერდზე - დაგეგმე შენი ბიუჯეტი - ბოლნისი / Bolnisi.

საპროექტო წინადადებების წარდგენა ასევე შესაძლებელია მოხდეს ფიზიკურად, საპროექტო წინადადებების ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებისთვის მიწოდებით, ან მერიაში განცხადების დატოვების გზით; მოქალაქეს/საინიციატივო ჯგუფს შეუძლია წარადგინოს საპროექტო წინადადებების შეუზღუდავი რაოდენობა.

საპროექტო წინადადების წარმდგენმა უნდა გამოაგზავნოს შემდეგი სახის ინფორმაცია:

ა) სახელი, გვარი; ბ) პირადი ნომერი; გ) საკონტაქტო ტელეფონი; დ) ელ-ფოსტა; ე) პროექტის სახელწოდება; ვ) პროექტის აღწერა; ზ) დასახლებული პუნქტი, სადაც უნდა განხორციელდეს პროექტი; თ) პროექტის სავარაუდო ბიუჯეტი.

საპროექტო წინადადებები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- საპროექტო წინადადების განხორციელება უნდა იგეგმებოდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე;
- საპროექტო წინადადების განხორციელება უნდა შედიოდეს თვითმმართველობის საკუთარ უფლებამოსილებებში;
- საპროექტო წინადადების განსახორციელებლად საჭირო სავარაუდო თანხა არ უნდა აღემატებოდეს 300 000 ლარს;
- წინადადებით შემოთავაზებული პროექტი არ უნდა იყოს მიმდინარე, ან ისედაც ჩადებული ბიუჯეტში (ბიუჯეტის პროექტში);
- პროექტის განხორციელება უნდა იყოს ტექნიკურად შესაძლებელი (მაგალითად, სათამაშო მოედნისთვის უნდა არსებობდეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი).

მეორე ეტაპი: საპროექტო წინადადებების პირველადი გადარჩევა მოქალაქეების მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინდადებების პირველადი გადარჩევა მოხდება 10 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე. კენჭისყრის ეტაპზე გადავლენ მხოლოდ ის წინადადებები, რომლებიც საპროექტი წინადადებისთვის საჭირო კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ. მესამე ეტაპი: საპროექტო წინადადებების კენჭისყრა საპროექტო წინადადებების კენჭისყრა ჩატარდება ელექტრონულად. ბოლნისში რეგისტრირებულ (18 წლიდან) მოქალაქეებს შეუძლიათ ხმა მისცენ მათთვის მისაღებ საპროექტო წინადადებას სპეციალურად პროექტისთვის შექმნილ ვებ-პლატფორმაზე. კენჭისყრის ეტაპი გაიმართება 12 სექტემბრიდან 31 ოქტომბრამდე.

მეოთხე ეტაპი: გამარჯვებული პროექტების ბიუჯეტში ასახვა 5 (ხუთი) გამარჯვებული პროექტი გამოვლინდება 1 ნოემბერს და 10 ნოემბრამდე მოხდება ამ პროექტების დამუშავება და ბოლნისის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში ასახვა.

CENN-მა პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების პროექტი დაიწყო

ევროკავშირის მხარდაჭერით, CENN-მა, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად – კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (CTC), ქვემო ქართლის მედია (KKM), First European (FE) – ოთხწლიანი ახალი პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება ინკლუზიური და მწვანე ზრდისთვის“ ფარგლებში, დაინტერესებულ მხარეთა შეხვედრა ჩაატარა. პროექტის პრეზენტაციას ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი დავით შერაზადიშვილი, ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულთან გიორგი დოხტურიშვილთან და გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულისა და წალკის მუნიციპალიტეტების მერებთან ერთად დაესწრო. პროექტი 4 წლის განმავლობაში ქვემო ქართლის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების რვა მუნიციპალიტეტში იმუშავებს და უზრუნველყოფს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩართულობას სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის ხარისხის გასაუმჯობესებლად და მათი შესაძლებლობების განსავითარებლად. ღონისძიების ფარგლებში, სამიზნე მუნიციპალიტეტების მერებთან ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი გაფორმდა.

,,მოხარული ვარ, რომ ბოლნისის მერიასა და კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელთან ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი გავაფორმეთ. ძლიერი არასამთავრობო ორგანიზაციები და სამოქალაქო სექტორი ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარანტია. ეს ჩვენს მუნიციპალიტეტს ნათლად აქვს გაცნობიერებული. ჩვენ ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის კარგი პრაქტიკა გვაქვს, მათ შორის CENN-თან ერთობლივი მუშაობის გამოცდილებაც სხვადასხვა პროექტების სახით. მისასალმებელია, რომ ,,სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების პროექტი“ ჩვენს მუნიციპალიტეტში კიდევ უფრო მეტად გააძლიერებს სამოქალაქო საზოგადოებასა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის მჭიდრო თანამშრომლობას. ბოლნისის მუნიციპალიტეტს ნათლად აქვს გააზრებული მისი სოციალური პასუხისმგებლობა. სოციალური პროგრამებისთვის ჩვენი ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი იხარჯება, რომელიც საზოგადოების თითქმის ყველა ფენაზეა გათვლილი. მიუხედავად ამისა, სასიხარულოა ის ფაქტი, რომ მემორანდუმის ფარგლებში დაგეგმილია სოციალური სერვისების გაუმჯობესება, ასევე წყალმომარაგებასა და ჯანდაცვის სერვისებზე მოქალაქეთა წვდომის გაზრდა. ბოლნისის მუნიციპალიტეტის უმთავრესი პრიორიტეტი, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, თითოეული მოქალაქის უფლებების დაცვა და მათი შესაძლებლობების რეალიზებაა“,- განაცხადა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა.

ახალგაზრდა მეღვინის წარმოება და სამომავლო გეგმები

საუკუნოვანი ისტორიის და უმაღლესი ხარისხის ოქროსფერ ღვინის ქალაქში, მეღვინეთა რაოდენობა იზრდება, მეღვინეობა-მევენახეობის უძველესმა ტრადიციამ დღეს სხვა დატვირთვა შეიძინა. განსხვავებული არომატისა და გემოვნური თვისებების მქონე ბოლნისური ქვევრის ღვინოები დიდი მოწონებით სარგებლობს და ნელ-ნელა საპატიო ადგილს იკავებს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე. მშობლების მიერ დაწყებულ საქმიანობას, ახალი ხედვებითა და ტექნოლოგიების დანერგვით, შვილები აგრძელებენ, მათ საოჯახო მეურნეობას სხვა დატვირთვა შესძინეს. ჩვენ გიამბობთ ახალგაზრდა მეღვინეზე, მის წარმოებასა და სამომავლო გეგმებზე.

,,მე გახლავართ ირაკლი ჯაფარიძე, 2014 წელს დავამთავრე აიპ „საქართველოს საპატრიარქოს წმ. იოანე ბოლნელის სახელობის სკოლა“. ჩავაბარე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „აგრარული მეურნეობისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის“ ფაკულტეტზე. პროფესიით აგრონომი ვარ. 2020-2021 წლებში აგრარულ უნივერსიტეტში გავიარე „მეღვინეობა-მევენახეობის“ კურსი.“

-ირაკლი გვიამბე თქვენი მეღვინეობის შესახებ

-ჩემი ოჯახი, ათეული წლებია ვენახთან და ღვინოსთან ურთიერთობს. ღვინოს აწარმოებდნენ საკუთარი მოხმარებისთვის, ევროპული ტექნოლოგიით, მუხის კასრებში, ბავშვობიდან ვიყავი ჩართული ამ საქმიანობაში. 2018 წელს გადავწყვიტე ამ საქმიანობისთვის ბიზნესის სახე მიმეცა. ამავე წელს დავიწყე ტრადიციული მეთოდით ქვევრის ღვინის დამზადება. ვაწარმოებ სამი სახეობის ღვინოს: საფერავს, თავკვერს, რქაწითელს და ბოლნისურ ვარდისფერს.

მარანი მდებარეობს XVII საუკუნეში ჩამოსახლებული გერმანელი „შვაბების“ მიერ აშენებულ სახლში და იგი 170 წლისაა. მარანს პირვანდელი სახე სრულად აქვს შენარჩუნებული. ის თავისი არქიტექტურით და სპეციფიკით განსაკუთრებულია. ეს ყოველივე, იდიალურ გარემოს ქმნის ღვინის დასამზადებლად. გერმანელები „შვაბური ტექნოლოგიით აწარმოებდნენ ღვინოს, ვცდილობ გავაგრძელო და ავთენტურობა შევუნარჩუნო ამ ტრადიციას. პარალელურად გადავწყვიტე მეწარმოებინა ტრადიციული ქვევრის ღვინო და 2018 წელს დავიწყე ქვევრის ღვინის წარმოება. წელიწადში ვაწარმოებ 6000 ბოთლს.

-რამდენად შრომატევადია ვენახის მოვლა და ღვინის დაყენება

-ღვინის ხარისხი პირდაპირ კავშირშია ყურძენთან, ვენახი საჭიროებს დიდ ყურადღებას. თავიდანვე უნდა მოხდეს ვენახის სწორი სხვლა-ფორმირება, დროული წამლობა და ასევე აგროტექნიკური სამუშაოების ჩატარება. ეს ყოველივე ფიზიკურ შრომას მოითხოვს და შესაბამისად, ძალზე შრომატევადი საქმიანობაა . რაც შეეხება ღვინის დაყენებას, ანალოგიურად ეს პროცესიც ფიზიკურ შრომას მოითხოვს. ყურძნის მიღება, დროული გადამუშავება, დუღილის პროცესის სწორად წარმართვა, გადაღება, ბოთლებში ჩამოსხმა, ეტიკეტირება და გაყიდვა. რამდენადაც შრომატევადია, იმდენად სასიამოვნოა ვენახთან და ღვინოსთან ურთიერთობა. განსაკუთრებით მიყვარს რთველის პერიოდი, ამ დროს უამრავი დადებითი ემოცია იფრქვევა.

-როგორია ინტერესი ბოლნისური ღვინოების მიმართ, რა მიღწევები აქვს თქვენს ღვინოებს

-ბოლნისური ღვინოების მიმართ ინტერესი დიდია, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ,,ღვინო ბოლნისი“ დარეგისტრირდა დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოდ. ამავდროულად, საკმაოდ გაიზარდა ბოლნისური ღვინოების ხარისხი. ამაში უდიდესი წვლილი მიუძღვის „ღვინო ბოლნისის“ გაერთიანებას. რაც შეეხება ჩემს ღვინოებს, დიდი პერიოდი, ძალისხმევა, ფესტივალებზე და კონკურსებზე მონაწილეობის მიღება დამჭირდა იმისთვის, რომ გამეზარდა ცნობადობა და ინტერესი. შევიძინე გამოცდილება და პრაქტიკა, რასაც მოჰყვა უდიდესი წარმატება. წელს ქვევრის საფერავმა ოქროს მედალი, ხოლო რქაწითელმა, ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

-თქვენი მარანი ,,ღვინო ბოლნისის“ წევრია, რა მოგიტანათ გაერთიანების წევრობამ?

-გაერთიანება გვეხმარება ბოლნისური ღვინოების პოპულარიზაციაში. იგი ხელს გვიწყობს მარტივად ვაკონტროლოთ ღვინის ხარისხი. გვიფინანსებს ლაბორატორიულ გამოკვლევებს და ასევე ფესტივალებზე მონაწილეობის მიღებას. ასოციაციის ფარგლებში, კომპანია ,,არემჯისთან“, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ბოლნისის აგროცენტრთან ერთად, შედგა ბოლნისელი მევენახე-მეღვინეების ფორუმი, სადაც უსასყიდლოდ გადმოგვცეს ფრანგული მუხის კასრები. პროექტი გრძელდება ოთხი წლის მანძილზე და ჯამში რვა კასრი გადმოგვეცემა. ვფიქრობ, სამომავლოდ ბევრად აქტიური და საინტერესო იდეებით დატვირთული იქნება მეღვინეთა გაერთიანება.

-როგორია თქვენი ღვინის გემოვნური თვისებები და რა ჯიშის ღვინოებს აწარმოებთ?

-ჩემი ღვინის გემოვნური თვისებები საკმაოდ განსხვავებული, მსუბუქი, ხავერდოვანი და არომატულია, ამ განსაკუთრებულობას სძენს ნიადაგური და კლიმატური პირობები. ღვინოს ვაწარმოებ ადგილობრივი ყურძნის ჯიშებისგან, ესენია: საფერავი, თავკვერი და რქაწითელი.

-როგორ ფიქრობთ, რა გამოწვევების წინაშეა ქართული ღვინო და რა სჭირდება ბოლნისელ მეღვინეებს მეტი ცნობადობისთვის

-ბოლნისურ ღვინოს მეტი ცნობადობისთვის სჭირდება ხარისხის ამაღლება, მივიწყებული ჯიშების გაცოცხლება, მრავალფეროვნებისთვის საერთაშორისო ფესტივალებზე და კონკურსებზე მონაწილეობის მიღება, რათა დავაინტერესოთ უცხოური ბაზარი ბოლნისური ღვინით, რადგან შევძლოთ მათი ექსპორტზე გატანა.

საქართველო ღვინის სამშობლოა! ამას ადასტურებს საქართველოში აღმოჩენილი ნივთიერი და ისტორიული მტკიცებულებები და ფაქტები. საქართველოში მეღვინეობას 8000 წლიანი ტრადიცია აქვს. ამ ფაქტმა გამოიწვია მსოფლიოს ყურადღება ქართული ღვინისადმი და თუ გვსურს, საერთაშორისო ბაზარზე ინტერესის შენარჩუნება, ამისთვის აუცილებელი პირობაა ვაწარმოოთ ხარისხიანი ღვინოები.

-მოგვიყევი სამომავლო გეგმების შესახებ.

- სამომავლოდ ვგეგმავ წარმოების გაზრდას, რათა შევძლო ღვინის ექსპორტზე გატანა, ხარისხიანი ღვინის წარმოება და ასორტიმენტის გამრავალფეროვნება. რაც ხელს შეუწყობს, არამარტო ჩემი, არამედ ბოლნისური ღვინის პოპულარიზაციას.

-როგორაა ბაზარზე წარმოდგენილი თქვენი ღვინო?

-რაც შეეხება სახელს, ამაზე ბევრი არ მიფიქრია, მარტივად, გვარიდან გამომდინარე „ჯაფარიძის მეღვინეობა“(japaridzis winery) დავარქვი.

მაგდა დევნოზაშვილი

წარმატებას განსაზღვრავს მიზანი, მოტივაცია და მუდმივი შრომა

თავის-უფლება, მშვიდობა, სიყვარული და ოჯახი - ეს არის ჩვენი რუბრიკის გმირის ცხოვრების მთავარი პრიორიტეტები. პროფესიით საზოგადოებრივი გეოგრაფია, ამასთანავე შეისწავლა საბაჟო საქმე, თუმცა, არც ერთი განხრით არაა დასაქმებული, ახალგაზრდები და მათთან მუშაობა ბედნიერებას ანიჭებს. რამდენიმე წლის წინ, მიზნად დასახული იდეა - ბოლნისელი ახალგაზრდებისთვის შეექმნა სივრცე, სადაც საკუთარი თავის რეალიზებას შეძლებდნენ რეალობად აქცია. მისაბაძი ადამიანიც ჰყავს, დედა, რომლისგანაც იმ უნარ-ჩვევებს სწავლობს, რაც ცხოვრების მანძილზე უმთავრესია. მომავალ თაობებს ურჩევს, დაეწაფონ ცოდნას, რადგან წარმატებული მომავლისკენ გზა, უმაღლეს განათლებაზე გადის.

ჩვენ კითხვებს ანანო უგრეხელიძე პასუხობს.

-ვინ არის ანანო უგრეხელიძე?

-ანანო არის მებრძოლი, აქტივისტი, თავის საქმეზე შეყვარებული ახალგაზრდა. უყვარს მარტო ყოფნა, ყავა, ფრანგული მუსიკა და კინომატოგრაფია.

-როგორ და რატომ აირჩიე ეს პროფესია, როგორ შეხვდა ოჯახი, მოგვიყევით მათ შესახებ.

-პროფესიით საზოგადოებრივი გეოგრაფი ვარ, ახლახან დავასრულე საბაჟო საქმის შესწავლაც, თუმცა, ამჟამად არც ერთი განხრით არ ვმუშაობ. ოჯახი ჩემს გადაწყვეტილებას ძალიან კარგად შეხვდა, მათთვის მთავარია, მე მქონდეს სურვილი ამა თუ იმ საკითხის შესწავლის. ისინი ყოველთვის და ყველა სიტუაციაში გვერდში მიდგანან. სხვადასხვა სფეროები მიზიდავს, ამიტომ მუდმივად სწავლის პროცესში ვარ, შესაძლებელია, ერთი მეორესთან, სრულებითაც არ იყოს დაკავშირებული. უკვე მე-5 წელია, არასამთავრობო ორგანიზაციაში ვმუშაობ ახალგაზრდებთან, რაც ძალიან ბედნიერს მხდის.

-რა არის ამჟამად შენს ცხოვრებაში ყველაზე მთავარი?

-ახლა რომ ვუყურებ, რაც ზოგადად ჩვენს გარშემო ხდება, ვფიქრობ, ყველაზე მთავარი მაინც მშვიდობაა.

-ცხოვრებაში წარმატება ჩემთვის ნიშნავს...

-წარმატება ნიშნავს მოგებულ ბრძოლას.

-რამდენად არის დამოკიდებული წარმატება ბედნიერ შემთხვევაზე?

- წარმატებას განსაზღვრავს მიზანი, მოტივაცია და ამ მიზნისთვის მუდმივი შრომა. თუმცა, პატარ-პატარა ბედნიერი შემთხვევები, ვფიქრობ, საჭიროც არის და ხანდახან მნიშვნელოვანი წარმატების საწინდარიც.

-პრიორიტეტები...

-თავის-უფლება, მშვიდობა, სიყვარული, ოჯახი.

-როგორ ფიქრობ, პრიორიტეტები დროთა განმავლობაში შეიცვლება თუ იგივე დარჩება?

-ის რაც ზემოთ ჩამოვთვალე, არასდროს შეიცვლება. თუმცა, ცხოვრებაში შესაძლებელია მცირეოდენი ცვლილებებიც.

-შენი მიზნები, რა გიბიძგებს მიზნების შესრულებისკენ?

-რამდენიმე წლის წინ მნიშვნელოვანი მიზანი დავისახე, რადგან იმ პერიოდში ბოლნისში ახალგაზრდული სივრცე არარსებობდა, მინდოდა შემექმნა უსაფრთხო არაფორმალური გარემო ახალგაზრდებისთვის, სადაც თავისუფლად შეძლებდნენ ერთმანეთის მოსმენას, იდეების, გამოცდილების, აზრების გაზიარებას. ან თუნდაც უბრალოდ შეიკრიბებოდნენ და დროს ერთად გაატარებდნენ, განიხილავდნენ სხვადასხვა წიგნებს, უყურებდნენ ფილმებს, დალევდნენ ყავას და ა.შ. სწორედ ამიტომ ჩემს მეგობრებთან ერთად, არასამთავრობო ორგანიზაცია „ბოლნისის ახალგაზრდული სახლი“ ჩამოვაყალიბე. დღესდღეობით 40-ზე მეტი აქტიური მოხალისე გვყავს.

ყველაზე მთავარი, რამაც მიბიძგა ამ მიზნის შესრულებისკენ, არიან თავად ახალგაზრდები, რომლებსაც ფაქტობრივად ჰაერივით სჭირდებათ მსგავსი სივრცეები. არამარტო ბოლნისში, არამედ საქართველოშიც კი ძალიან ცოტა ადგილია, სადაც ახალგაზრდებს საკუთარი თავის რეალიზების შესაძლებლობა აქვთ.

-როგორ განსაზღვრავს საკუთარ თავს წარმატება?

-უფრო მეტ მოტივაციას გმატებს, თითქოს თავიდან გმუხტავს.

-ვინ და რამ მოახდინა დიდი გავლენა შენზე?

-სხვადასხვა ადამიანები, რომლებიც ჩემს ცხოვრებაში ჩნდებიან, ოჯახი, ის მწერლები, რომლებსაც ცხოვრების განმავლობაში ვეცნობი, ის მუსიკა, რომელიც ყოველდღიურად მესმის, ის გარემო, სადაც ვცხოვრობ, ყველაფერი ეს პატარ-პატარა გავლენას ახდენს ჩემზე. თუმცა, პიროვნების ჩამოყალიბებასა და შეცნობაში დოსტოევსკის შემოქმედება ძალიან დამეხმარა და ალბათ ყველაზე დიდი გავლენაც მან მოახდინა, რადგან ჯერ კიდევ მე-9 კლასში ვიყავი, როდესაც მისით დავინტერესდი და მოგეხსენებათ, სკოლის ასაკი მნიშვნელოვანი გარდამტეხი პერიოდია ადამიანის ცხოვრებაში.

- რა არის შენი ცხოვრების ყველაზე გასაოცარი მიღწევა, რითაც განსაკუთრებით ამაყობ?

-ეს კითხვა ჩემი ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე რომ დამისვან, ალბათ იგივე პასუხს გავცემ - განსაკუთრებით ვამაყობ იმით, რომ შევძელი და 70-ზე მეტი ახალგაზრდა ერთი მიზნის , ერთი იდეის ირგვლივ გავაერთიანე. შევძელი და ამ ახალგაზრდების იმედები გავამართლე, მათი სურვილებისა და იდეების რეალიზებით.

-ვინ არის შენთვის მისაბაძი მაგალითი?

-დედაჩემი, რომელიც თავისი საქმის პროფესიონალია, ფაქტობრივად ყველაფერს მისგან ვსწავლობ.

-საყვარელი პოეტი, მწერალი...

-მოდი ვიტყვი, მსოფლიოს მწერალი - დოსტოევსკი. ვფიქრობ, ადამიანმა თავისი სიცოცხლის მანძილზე, ერთხელ მაინც უნდა წაიკითხოს მისი რომელიმე ნაწარმოები.

-მომიყევი მეგობრებზე, რა როლი აქვთ მათ შენს ცხოვრებაში?

-სიმართლე რომ ვთქვა, მეგობრებთან ერთად დროს ხშირად ვერ ვატარებ. ამჟამად მთელი ჩემი დრო და ენერგია, ახალგაზრდებს ეთმობა.

-შენი ყველაზე მთავარი რჩევა მომავალი თაობებისთვის, რას ეტყოდით მათ?

-მომავალი განათლებაშია. მეტი იკითხეთ, მეტი შეიმეცნეთ, ყველა რესურსი გამოიყენეთ, რაც გარშემო გაქვთ, იყავით კარგი ადამიანები.

- როგორ ქვეყანაში ისურვებდი ცხოვრებას?

-ისეთ ქვეყანაში, სადაც ყველა თანასწორია და არ სჭირდებათ ადამიანებს იმის მტკიცება, რომ მათი სიცოცხლე მნიშვნელოვანია, რომ მათი იდენტობა მხოლოდ მათ ეკუთვნით, რომ სიყვარული არის სიყვარული და ძალადობა ვერასდროს იქნება გამოსავალი.

-დაგვისახელე მომავალი წარმატებული ადამიანი, ვის ხილვასაც ისურვებდი ჩვენს რუბრიკაში, დაუტოვე კითხვა.

-ნუცა გობეჯიშვილი, ძალიან ნიჭიერი, ახალგაზრდა გოგონა, რომელიც ბოლნისის ზრდასრულთა განათლების ცენტრში ფრანგულ ენას ასწავლის. ვფიქრობ, უნდა გაიცნოს ბოლნისმა ნუცა. ასეთ კითხვას დავუტოვებ - ბოლნისის ზრდასრულთა განათლების ცენტრმა რა შეცვალა მის ცხოვრებაში.

-მადლობა, წარმატებებს გისურვებთ!

ნონა ხუზმიაშვილი.

„ბრძოლას ყოველთვის მოაქვს შედეგი“ – ნიკოლოზ ცხოვრებაშვილი, გუნდის კაპიტანი

რუბრიკა „წარმატებული“ პერსპექტიულ, შრომისმოყვარე, მიზანდასახულ ახალგაზრდა ფეხბურთელზე, ნიკოლოზ ცხოვრებაშვილზე გიამბობთ, რომელმაც თამაში მოედანზე 6 წლის ასაკიდან დაიწყო და დღემდე საქმის სიყვარულით, პროფესიონალიზმით და თავდადებით, 18 წლამდელთა ფეხბურთელთა ნაკრებს ერთგულად უდგას სათავეში.

ნიკოლოზი ბოლნისის „სიონის“ საკათედრო ტაძრის დეკანოზის, თეოდორე ცხოვრებაშვილის ვაჟია. სწორედ ამავე ტაძარში, ყოველი წირვა-ლოცვის დროს, ღვთისმსახურებაში მონაწილეობს და დაკისრებულ მოვალეობას - სტიქაროსნობას, დიდი პასუხისმგებლობით, ღვთის სიყვარულითა და რწმენით ეკიდება. ასეთივე პასუხისმგებლობით, რწმენით და თავდაჯერებულობით, ის ყოველდღიურად იზრდება და ვითარდება პროფესიულად. მისი მიზნები და გეგმები თავიდან ბოლომდე საქართველოს უკავშირდება. ნიკოლოზს კარგ ფეხბურთელობასთან ერთად, სურს კარგი მეღვინეც იყოს და თავისი, თუნდაც მცირედი, წვლილი შეიტანოს ქვეყნის განვითარებაში.

„ნიკუშა შრომისმოყვარე, მიზანდასახული და პერსპექტიული ახალგაზრდაა. სწორედ მისი თავდაუზოგავი შრომით და დიდი პროფესიონალიზმით, გუნდმა არაერთხელ მიაღწია წარმატებას. მე, როგორც მწვრთნელს, დიდი იმედი მაქვს, რომ ის მალე მიაღწევს მიზანს და იმ მწვერვალებს დაიპყრობს, რომელზეც ყველა ფეხბურთელი ოცნებობს. მიზნის მისაღწევად ბევრს ვარჯიშობს, ყოველდღიურად იზრდება და ვითარდება პროფესიული თვალსაზრისით, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ის კარგადაა მომზადებული ფიზიკურად. მე ისღა დამრჩენია, ნიკუშას წარმატებები და კარიერული წინსვლა ვუსურვო დიდ ფეხბურთში“ - ასე ახასიათებს საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ 19 წლამდეთა მთავარი მწვრთნელი ვლადიმერ კაკაშვილი ჩვენს რესპოდენტს. სწორედ საკუთარი თავის რწმენით, მონდომებით, დიდი შრომით და კონცენტრირებით, ნიკოლოზ ცხოვრებაშვილმა გუნდში მალევე მოიპოვა ვიცე კაპიტნის პოზიცია. გასულ თვეს კი, სომხეთის გუნდთან თამაშისას, მისი კაპიტნობით, საქართველოს 18 წლამდელთა ნაკრებმა მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა და ევროპის ტურნესთვის დიდი ნაბიჯი გადადგა.

ნიკოლოზმა ფეხბურთის თამაში ადრეული ასაკიდან დაიწყო, სტარტი ბოლნისის „სიონის“ ასაკობრივი გუნდიდან აიღო, როგორც თავად ამბობს, მის სპორტულ ზრდაში, მწვრთნელმა ავთანდილ გაბრიჭიძემ გადამწყვეტი ფაქტორი ითამაში. ბოლნისის „სიონის“ შემდეგ საფეხბურთო კარიერა დინამოს აკადემიაში გააგრძელა, რომელმაც ახალგაზრდა ფეხბურთელის პროფესიულ ზრდაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

,,13 წლამდე ბოლნისის „სიონის“ ასაკობრივ გუნდში ვთამაშობდი. პროფესიული ზრდისთვის მადლობა მინდა გადავუხადო ავთანდილ გაბრიჭიძეს, სწორედ მან შეასრულა გადამწყვეტი და მნიშვნელოვანი როლი ჩემი კარიერის საწყის ეტაპზე. „სიონში“ თამაშმა, 6 წლის ასაკიდან, თავდაჯერებულობა და ბრძოლისუნარიანობა შემმატა, რაც, შემდგომ ეტაპზე, მნიშვნელოვნად გამომადგა,“ ამბობს ნიკოლოზ ცხოვრებაშვილი.

ახალგაზრდა ფეხბურთელის ყოველდღიური რუტინა თითქმის მთელი დღე ვარჯიშს მოიცავს. წარმატების მისაღწევად უარს ბევრ რამეზე ამბობს, შრომობს და ბრძოლობს დასახული მიზნისთვის, რომელსაც „საქართველოს ეროვნული ნაკრები ჰქვია.“

„დრო თითქმის არ მაქვს. ბევრ რამეზე მითქვამს უარი, სწორად უნდა განვსაზღვრო ვარჯიშის და დასვენების დრო, ყოველთვის უნდა ვიყო კონცენტრირებული საქმეზე, სხვანაირად არ გამოვა. თუ გინდა, რომ ცხოვრებაში რამეს მიაღწიო, ბოლომდე უნდა იბრძოლო, ბრძოლას ყოველთვის მოაქვს შედეგი, შედეგი გამარჯვებამდე, წარმატებამდე და მწვერვალამდე“.

როგორც ნიკოლოზი ამბობს, მისი წარმატების ფორმულა ლიდერის უნარ-ჩვევები, თავდაჯერებულობა, პასუხისმგებლობა და უფლის რწმენაა.

„ცხოვრობდე, იზრდებოდე და ატარებდე სასულიერო პირის შვილის სახელს, ეს რამდენადაც საპასუხისმგებლო, ამავდროულად უდიდესი სიამოვნების მომნიჭებელია, მეამაყება ჩემი მშობლები, და-ძმა, მეგობრები და ახლობლები, სწორედ მათი გვერდში დგომით, მათი იმედით და სიყვარულით, აუცილებლად მივიყვან ჩემს ოცნებას ბოლომდე და იმ მწვერვალებს დავიპყრობ, რომელზეც ყველა ფეხბურთელი ოცნებობს,“- განაცხადა ჩვენთან საუბრისას ნიკოლოზ ცხოვრებაშვილმა.

გაზეთი ,,ბოლნისი“ ახალგაზრდა ფეხბურთელს წარმატებებს და კარიერულ წინსვლას უსურვებს.

მარინა გავაშელი

კონფერენციაში მონაწილე სკოლები და პედაგოგები მადლობის სიგელებით დაჯილდოვდნენ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმდინარე პროექტში, ზოგადი განათლების ფარგლებში ,,ახალი სკოლის მოდელი“ კონფერენციაში, მონაწილე სკოლები და პედაგოგები, ბოლნისის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა იამზე სვანიძემ, მადლობის სიგელებით და სერთიფიკატებით დააჯილდოვა.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებში, 2021/22 სასწავლო წლის ბოლოს, 22 ივნისს, ჩატარდა რეგიონალური მასწავლებელთა კონფერენცია,სადაც ბოლნისის მუნიციპალიტეტის 10 სკოლა 26 პრეზენტაციით იყო წარმოდგენილი. აღნიშნულ კონფერენციაში მონაწილე პედაგოგები სერთიფიკატებით, ხოლო სკოლის დირექტორები, მადლობის სიგელებით დაჯილდოვდნენ. ,,ახალი სკოლის მოდელის“ საპილოტე პროექტში ბოლნისის მუნიციპალიტეტიდან პირველი ჩაერთო ქალაქ ბოლნისის №5 საჯარო სკოლა.

უკვე რამდენიმე წელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სკოლებში ახორციელებს და ნერგავს პროექტს ,,ახალი სკოლის მოდელი“, რაც გულისხმობს სწავლების თანამედროვე მეთოდის დანერგვას, ციფრულ ტექნოლოგიებზე ორიენტაციას, სასკოლო ცხოვრების რეალურ ცხოვრებასთან დაახლოებას და ამ გზით სასწავლო პროცესის გამოცოცხლებას, სასკოლო შემოქმედებითი ინიციატივების ხელშეწყობას და თანამშრომლობითი გუნდური მუშაობის კულტურის დანერგვას.

Bolnisi Bələdiyyəsi ilə Azərbaycan Respublikasının Göygöl rayonu arasında dostluq və əməkdaşlıq memorandumu imzalanıb

İyulun 13-də Azərbaycan Respublikasının paytaxtı Bakı şəhərində Bolnisi bələdiyyəsi ilə Göygöl rayonunun mövcud əlaqələrinin daha da dərinləşdirilməsi, əhalisinin bir-birinə daha da yaxınlaşması və icfimai həyatın müxtəlif sahələrdə əməkdaşlığın təşviqi məqsədilə dostluq və əməkdaşlıq memorandumu imzalanıb. Sənədi Bolnisi bələdiyyəsinin meri Davit Şerazadişvili və Göygöl rayon icra hakimiyyəti başçısı vəzifəsini icra edən Turani Əliyev imzalayıblar.

Tərəflər öz səlahiyyətləri çərçivəsində yerli bələdiyyə/rayon, mədəniyyət, turizm, tarixi-mədəni irsin mühafizəsi, şəhərsalma, ətraf mühitin mühafizəsi, yaşıllaşdırma, nəqliyyat, informasiya texnologiyaları, enerji səmərəliliyi, tullantıların aradan qaldırılması sahələrində gənclərlə iş və idman sahələrində məlumat və təcrübələri bölüşməklə əməkdaşlıq edəcəkləri barədə razılığa gəliblər.

Kvemo Kartlinin dövlət nümayəndəsi Giorgi Doxturişvilinin başçılıq etdiyi nümayəndə heyəti Azərbaycan Respublikasında səfərdədir. Nümayəndə heyətinə Kvemo Kartli bölgəsi bələdiyyələrinin merləri və Rustavi Sakrebulonun deputatları daxildir.

Səfər çərçivəsində nümayəndə heyətinin üzvləri artıq Azərbaycan Respublikasının Baş Naziri Əli Əsədov, İqtisadiyyat naziri Mixail Cabarov və Diasporla İş üzrə Dövlət Komitəsinin sədr müavini Vaqif Seyidbəyov ilə görüş keçiriblər.

Gürcüstan nümayəndə heyətinin üzvləri xarici işlər naziri Ceyhun Bayramov, kənd təsərrüfatı naziri İnam Kərimov və Milli Məclisdə Gürcüstanla dostluq qrupunun rəhbəri Arzu Nağıyevlə görüşlər keçirəcəklər.

Gürcüstan nümayəndə heyətinin Azərbaycan Respublikasına səfəri iyulun 15-də başa çatacaq.

"Mən şadam ki, biz Azərbaycan Respublikasının Göygöl rayonu ilə vətəndaşlarımızın bir-birinə daha da yaxınlaşmasına və cəmiyyətin müxtəlif sahələrində əməkdaşlıq etməyə kömək edəcək dostluq və əməkdaşlıq memorandumu imzalamışıq. Bildiyiniz kimi, Bolnisi bələdiyyəsinin əhalisinin əksəriyyəti etnik

cəhətdən Azərbaycan vətəndaşlarıdır, biz uzun illərdir ki, bir məkanda mehriban yaşayırıq, Gürcüstanın daha yaxşı gələcəyinə nail olmaq üçün birlikdə çalışırıq və düşünürəm ki, yeni əlaqələr dostluğumuzu daha da möhkəmləndirək", - deyə Bolnisi bələdiyyəsinin meri Davit Şerazadişvili bildirib. #Kvemokartli rayonu

Bolnisiyə yeni kartof istehsal yeri və coğrafi göstəricisi veriləcək

Bolnisi bələdiyyəsinin kəndlərində erkən kartof yığımı tezliklə başa çatacaq, fermerlər mövsümdə 80 min tona qədər kartof yetişdirirlər. Rajisubani kənd sakini Zaza Rexviaşvilinin bizə dediyi kimi, o, məhsuldan şikayət etmir, amma yığılan məhsulu satmaq çətindir. İllərdir ki, kartof istehsalı ilə məşğuldur. Samtredo kəndindəki tərəvəzçilik bu il on altı hektar sahədə əkilib. Fermerin sözlərinə görə Kartof yetişdirilməsi kifayət qədər baha başa gəlir o, dövlətin güzəştli aqrokreditindən yararlanıb.

Bolnisidə istehsal olunan yeni kartof haqqında məlumatlandırma və əsas sahəsi əhəmiyyətli dərəcədə artacaq, çünki məhsula istehsal yerinin təyinatı və coğrafi göstərici veriləcəkdir.Bolnisi Aqro Mərkəzinin rəhbəri və "Bolnisi Şərab Birliyinin" təsisçisi kartof yığımında iştirak edib, artıq hazırlanmış və bir neçə gündən sonra təsdiq olunmaq üçün Sakpatentə göndəriləcək sənəd barədə fermerlərə məlumat verib. Coğrafi göstəricili məhsullar daxili və beynəlxalq bazarlarda məhsulların qiymətini və satışını artıran xüsusi keyfiyyət, xüsusiyyət və reputasiyanı vurğulayır.

"Mən kartof yığımından şikayətlənmirəm, biz fermerləri narahat edən satışıdır, əsasən, əsas sahə yerli bazardır, beynəlxalq bazarlar məhsullarımızı ələ keçirsə, çox yaxşı olar. Kartof yetişdirilməsi xeyli xərclə bağlıdır, dövlət bizə güzəştli kreditlər verib, yeganə problem bazarların genişləndirilməsidir", - deyə sahibkar Zaza Rexviaşvili bildirib.

"Bolnisi Şərabı"dan sonra yeni kartof tezliklə beynəlxalq bazarları ələ keçirəcək və buna qədər fermerlər Sakpatentin verdiyi sənəddə göstərilən tövsiyələri nəzərə alaraq məhsul yetişdirməli olacaqlar, bundan sonra fermerlər keyfiyyətli məhsulları xeyli baha qiymətə satmaq.

"Biz sahibkarlara məhsullarını satmağa kömək edəcək çox mühüm sənəd hazırlayırıq. Sənədə əsasən, Bolnisi təzə kartofu qablaşdırılacaq. Keyfiyyətli məhsullar Avropa bazarlarının marağına səbəb olacaq və qiyməti artıracaq. Sənəddə sahibkarın necə keyfiyyətli kartof gətirməli olduğu ilə bağlı qaydalar göstərilib", - Bolnisi Aqro Mərkəzinin direktoru Nikoloz Mindiaşvili bizimlə söhbət zamanı bildirib.

Büdcənizi planlaşdırın

"Mülki büdcə" layihəsi çərçivəsində Bolnisi Bələdiyyəsinin 2023-cü il büdcəsində vətəndaşların təşəbbüsləri üçün 1.500.000 lari veriləcək. Ümumilikdə 5 (beş) təşəbbüs maliyyələşdiriləcək, hər bir layihənin dəyəri 300.000 laridən çox olmamalıdır. 5 təşəbbüs vətəndaşların özləri tərəfindən səsvermə yolu ilə seçiləcək. Bolnisi şəhərində 2 layihə maliyyələşdiriləcək (şəhərdə həyata keçiriləcək ideyalardan ən çox səs toplayan 2 (iki) layihə), və kənd yaşayış məntəqələrində 3 layihə (kəndlərdə həyata keçiriləcək ideyalardan hansı 3 (üç) layihə daha çox səs toplayırsa).

Birinci mərhələ: Bolnisidə qeydiyyatda olan hər bir vətəndaş (18 yaşından) öz kəndində, icmasında və ya şəhərində ictimai əhəmiyyətli obyektin yerləşdirilməsini nəzərdə tutan layihə şəklində öz ideyasını təqdim edə bilər; "Büdcəni planlaşdır" layihəsi biznes ideyalarının maliyyələşdirilməsini nəzərdə tutmur, ona görə də özəl bizneslə bağlı həmin ideyalar qəbul edilməyəcək; Maraqlanan şəxslər avqustun 10-dək layihə təklifini təqdim etməlidirlər; Layihə təklifləri internet vasitəsilə, bələdiyyənin saytında, meriyanın Facebook səhifəsində və həmçinin Facebook səhifəsində - Büdcəni planlaşdır - Bolnisi.

Layihə təkliflərini bələdiyyə sədrinin inzibati ərazi vahidlərindəki nümayəndələrinə çatdırmaqla və ya bələdiyyə binasında bəyanat verməklə fiziki formada da təqdim etmək mümkündür; Vətəndaş/təşəbbüs qrupu qeyri-məhdud sayda layihə təklifi verə bilər.

Layihə təklifini təqdim edən şəxs aşağıdakı məlumatları göndərməlidir:

a) ad, soyad; b) şəxsiyyət vəsiqəsinin nömrəsi; c) əlaqə telefon nömrəsi; d) elektron poçt; e) layihənin adı; v) layihənin təsviri; z) layihənin həyata keçiriləcəyi qəsəbə; t) Layihənin təxmini büdcəsi.

Layihə təklifləri aşağıdakı meyarlara cavab verməlidir:

• Layihə təklifinin icrası bələdiyyənin ərazisində planlaşdırılmalıdır;

• Layihə təklifinin icrası özünüidarənin səlahiyyətlərinə daxil edilməlidir;

• Layihə təklifinin həyata keçirilməsi üçün tələb olunan təxmini məbləğ 300.000 laridən çox olmamalıdır;

• Təklif olunan layihə cari və ya artıq büdcəyə daxil edilməməlidir (büdcə layihəsi);

• Layihənin icrası texniki cəhətdən mümkün olmalıdır (məsələn, uşaq meydançası üçün bələdiyyə mülkiyyətində olan torpaq sahəsi olmalıdır).

İkinci mərhələ: layihə təkliflərinin ilkin seçimi Vətəndaşlar tərəfindən təqdim olunan layihə təkliflərinin ilkin seçimi avqustun 10-dan sentyabrın 5-dək aparılacaq. Yalnız layihə təklifi üçün zəruri meyarlara cavab verən təkliflər səsvermə mərhələsinə keçəcək.

Üçüncü mərhələ: Layihə təkliflərinin səsverməsi elektron qaydada aparılacaq. Bolnisidə qeydiyyatda olan (18 yaşdan yuxarı) vətəndaşlar layihə üçün xüsusi yaradılmış veb platformada onlar üçün məqbul olan layihə təklifinə səs verə bilərlər. Səsvermə mərhələsi sentyabrın 12-dən oktyabrın 31-dək keçiriləcək.

Dördüncü mərhələ: qalib layihələrin büdcədə əks etdirilməsi Noyabrın 1-də 5 (beş) qalib layihə müəyyən ediləcək və noyabrın 10-dək həmin layihələr işlənib Bolnisi 2023-cü il büdcə layihəsində öz əksini tapacaq.

სიახლეები

არემჯი

რიჩ მეტალს გრუპი

არემჯიმ Green Business Forum 2022-ზე კომპანიის გარემოსდაცვითი პროგრამის შესახებ პრეზენტაცია წარადგინა

სასტუმრო ,,ჰილტონმა'' მედია ჰოლდინგ The FINANCIAL-ის მიერ ორგანიზებულ Green Business Forum 2022-ს უმასპინძლა რომელზეც კომპანიებმა, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა, მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

Green Business Forum არის პრეზენტაციების ღონისძიება, რომლის მიზანია წარმოაჩინოს კომპანიების გარემოსდაცვითი პოლიტიკა და განიხილოს საქართველოს პერსპექტივები მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მიმართულებით.

ღონისძიებაზე მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მნიშვნელობაზე, ისაუბრებეს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილემ, სოლომონ პავლიაშვილმა, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარემ, მაია ბითაძემ და სხვადასხვა კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლებმა.

არემჯი, რიგით მე-6 Green Business Forum 2022-ის გენერალური სპონსორი და ღონისძიებაზე ბოლნისური ღვინოების ოფიციალური წარმდგენიც იყო. კომპანიის დირექტორის მოადგილემ გადრემოსდაცვით საკითხებში, ალექსანდრე დევიძემ, ყველა ის მნიშვნელოვანი პროექტი წარუდგინა საზოგადოებას, რომელსაც კომპანია გარემოსდაცვითი მიმართულებით ახორციელებს.

,,არემჯი, მწვანე ბიზნესის ფორუმში უკვე მეორედ მონაწილეობს. დამსწრე საზოგადოებას, 2017-2022 წელს გარემოსდაცვითი მიმართულებით განხორციელებული 100-მდე ღონისძიება და მისი შედეგები წარვუდგინეთ. ფორუმის მონაწილეებს, გავაცანით კომპანიის გარემოსდაცვითი მიმართულების სამომავლო გეგმებიც - გარემოსდაცვითი პოლიტიკის განახლებული დოკუმენტი, რომელიც კომპანიას გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად საქმიანობის წარმართვას შეუწყობს ხელს.'' - აცხადებს, ალექსანდრე დევიძე, დირექტორის მოადგილე გარემოსდაცვით საკითხებში.

ბექა ღვინიაშვილი ზაგრების გრან პრის გამარჯვებულია!

,,ბოლნისი - ოქროსფერი ღვინის ქალაქი''

მეღვინეთა გაერთიანება ,,ღვინო ბოლნისის" ორგანიზებით, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიისა და კომპანია არემჯის მხარდაჭერით, ბოლნისის მუზეუმში ბოლნისური ღვინოების პრეზენტაცია-დეგუსტაცია გაიმართა.

ღონისძიებაზე „ქართული ღვინის გილდიის" მიერ, OIV-ის საერთაშორისო სტანდარტით, შეფასებული 15 ბოლნისური მარნის, 38 საუკეთესო ღვინო იყო წარმოდგენილი.

ღონისძიების ფარგლებში, გერმანულ წისქვილში, გამართულ გალა-ვახშამზე, გასტრონომიული ტურიზმის ექსპერტმა ქეთი კვიჭიძემ და შეფ-მზარეულმა მიშა ავსაჯანიშვილმა მიწვეული სტუმრებისთვის ქვემო ქართლის ტრადიციული ავთენტური სამზარეულოს ინსპირაციით შექმნილი კერძები და სპეციალურად მათთან შეხამებული ბოლნისური ღვინოებით უმასპინძლეს. ასევე, ადგილზე სპეციალურად ამ დღისთვის შექმნილი კოქტეილის „ბოვის" პრეზენტაცია გაიმართა.

„ბოლნისი - ოქროსფერი ღვინის ქალაქი, აღმოაჩინე ბოლნისური ღვინო" ფარგლებში, ღონისძიებას სხვადასხვა სახელმწიფო უწყების წარმომადგენლები, ტექნოლოგები, სტუმარ-მასპინძლობის სექტორის წარმომადგენლები და დარგის ექსპერტები ესწრებოდნენ.

მეღვინეთა გაერთიანება „ღვინო ბოლნისი" 2018 წელს ჩამოყალიბდა და 40-ზე მეტ მცირე ტიპის საოჯახო მარანს აერთიანებს. გაერთიანებამ, კომპანია არემჯისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის შედეგად ბევრი საინტერესო და სასარგებლო პროექტი განხორციელდა. არემჯი ხელს უწყობს მეღვინეთა გაერთიანებას, საუკეთესო ბოლნისური ღვინეობის წარმოებასა და მათ პოპულარიზაციაში.

ავთანდილ უგრეხელიძე

კომპანია არემჯის, ძველი გროვების გეოლოგიური სამსახურის უფროსი

ავთანდილ უგრეხელიძე კომპანია არემჯის ძველი გროვების გეოლოგიური სამსახურის უფროსია. კომპანიაში მუშაობა 1999 წელს დაიწყო, ჯერ კიდევ მაშინ როცა კაზრეთში ოქროს წარმოება იწყებოდა. პროფესიის შერჩევისას გავლენა მისმა მასწავლებელმა გეოლოგმა ჟორა სეთაშვილმაც იქონია. მისი რჩევით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში არა ინჟინერ-მშენებლის, არამედ გეოლოგიურ ფაკულტეტზე ჩაბარა. არჩევანს არ ნანობს და თვლის, რომ ეს ის საქმეა, რომელიც უყვარს და 23 წელია ერთგულად ემსახურება.

„კომპანიაში, ძველი გროვების უბანი მაბარია, სადაც გეოლოგიური სამუშაოები მიმდინარეობს. საქმე საპასუხისმგებლოა, კარიერს ახლავს სირთულეები, თუმცა მრავალ წლიანი გამოცდილება საქმეს უფრო ამარტივებს. კომპანიაში დღეს საკმაოდ დიდი ნაბიჯებია გადადგმული საწარმოო პროცესის განვითარების კუთხით. მუდმივად მიმდინარეობს სხვადასხვა მიმართულებით სიახლეების დანერგვა, გაიხსნა რამდენიმე ახალი საბადო, რამაც გაზარდა დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობა. კომპანიის ხელმძღვანელობისგან გაცილებით მეტი მხარდაჭერაა თანამშრომლების მიმართ და ეს შესაძლებლობა ყველამ უნდა გამოიყენოს. მე ყოველთვის მზად ვარ გამოცდილება გავუზიარო მათ, ვინც ახლა იწყებს, რომ დაეუფლოს გეოლოგის პროფესიას. ნებისმიერ პროფესიაში მთავარია საქმის სიყვარული, შრომისმოყვარეობა და პასუხისმგებლობა, ასევე ურთიერთპატივისცემა უფროსსა და უმცროსს შორის, ეს მეტად ჰარმონიულს ხდის სამუშაო გარემოს".

სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი: ნინო კარგარეთელი

მთავარი რედაქტორის მოადგილე: ბელა ონიანი, ტექნიკური რედაქტორი: ხატია ფოცხვერაშვილი, ჟურნალისტები: დარეჯან ოქრუაშვილი, მაგდა დევნოზაშვილი, ნონა ხუზმიაშვილი, მარინა გავაშელი. სტილისტი: ლილი უგრეხელიძე, კომპიუტერის ოპერატორი: ნანული მუშკუდიანი, ფინანსური მენეჯერი: ლენა გოგოლაძე.